საქართველოს გენერალური პროკურორის

ბრძანება №044

2020 წლის 17 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს პროკურატურის იმ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ნუსხის განსაზღვრის შესახებ, რომელთაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება

„პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, მე-18 მუხლისა და 74-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

განისაზღვროს საქართველოს პროკურატურის იმ პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანდართული ნუსხა, რომელთაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პროკურატურის იმ პროფესიულ საჯარო მოხელეთა ნუსხა, რომელთაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების უფლება

მუხლი 1.

საქართველოს პროკურატურის თანამშრომელები – პროფესიული საჯარო მოხელეები, რომლებსაც აქვთ სამსახურებრივ-საშტატო იარაღის ტარების უფლება:

ა) საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსი – საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

ბ) საქართველოს გენერალური პროკურატურის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე;

გ) საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი – საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი;

დ) საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი – საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

მუხლი 2.

1. პროკურატურის თანამშრომლებს – პროფესიულ საჯარო მოხელეებს, სამსახურებრივ-საშტატო იარაღის შენახვისა და ტარების უფლება ენიჭებათ საქართველოს გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებით სამსახურებრივ-საშტატო იარაღის გადაცემასთან ერთად.

2. პროკურატურის თანამშრომლებს – პროფესიულ საჯარო მოხელეებს საქართველოს გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე, მათ საკუთრებაში არსებული ცეცხლსასროლი

იარაღისათვის სამსახურებრივ-საშტატო იარაღის სტატუსის მინიჭებასთან ერთად ენიჭებათ ტარების უფლებაც.

3. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, პროკურატურის თანამშრომლებზე გაიცემა თანამშრომლის სამსახურებრივი მოწმობა, იარაღის ტარების უფლების დამადასტურებელი აღნიშვნით.

საქართველოს გენერალური
პროკურორი **ირაკლი შოთაძე**